წმინდა ატომი

ლეგენდა ამბობს: დაწყევლილია ყველა ქალი, რომელსაც კენტი სიცოცხლე აქვს. და იცოდეს, რომ ყოველ წელს უბედურება მოაქვს.

ჩემი ფეხით მოვედი.

ძალიან მიკვირს რომ ამბობენ ხელები შემიკრეს და ისე მომიყვანესო, ნემსი გამიკეთეს, გამთიშეს და მერე ამ ოთახში გავიღვიძეო. აქ ბევრ ასეთ ისტორიას მოისმენ. თუმცა, ახლა თითქმის არცერთი აღარ ვლაპარაკობთ, მხოლოდ საჭირო ინფორმაციას ვუგზავნით ერთმანეთს, რომ სახლთან უცხო ობიექტი შეინიშნება, რომ კამერებს, რომლითაც ერთმანეთს ვუყურებთ რაღაც ხარვეზი აქვს, და ასე. თავიდან ზოგიერთი ასეთ წერილსაც მიგზავნიდა, რომ აქედან აუცილებლად უნდა გავიდეთ, რომ იმედი არ უნდა დავკარგოთ, რაღაც ასეთი სისულელეები. მერე ყველაფერი ჩაწყნარდა.

ყველა ჩვენს ჩვენს ოთახებში ვართ. გარეთ მარტო მაშინ გავდივართ, როცა შემოწმება უნდა ჩაგვიტარონ. უზარმაზარ ოთახში შევდივართ, მე სულ არ მეშინია, ყველაფერი ძალიან ახლობელია: დიდი კომპიუტერები, პლაზმური ეკრანები, სენსორული კედლები, K-19 და K-45-იც ძალიან კარგები არიან, თუ რამეს კითხავ - გიპასუხებენ, ისე არ შეგაწუხებენ ზუზუნით. მოკლედ ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, თუ წმინდა წიგნი ერთხელ მაინც წაგიკითხავს, ძრავების კეთილშობილებაზე და წმინდა ატომის სათნოებაზე რამე გსმენია, აქ კარგად უნდა იგრძნო თავი.

მე მშვიდად ველოდები ხოლმე ჩემს რიგს. საერთოდ აქ ყველას ჩვენი ნომერი გვაქვს, ზოგს ზურგზე აწერია, ზოგს მაჯაზე. სადილზეც ნომრებით გვიძახებენ. მე 28-ე ვარ. მოკლედ აქ ძალიან მნიშვნელოვანია ეს რიცხვები.

ამ სახლში ბოლო მე მოვედი და რიგშიც ბოლო მე ვარ. ზოგი ყვირის სანამ თავზე სადენებს დაამაგრებენ და განწმენდის რიტუალს დაიწყებენ. ისე ცოტა არასასიამოვნო პროცედურაა, თვალებს რომ ხუჭავ, შენი ამბები გახსენდება სხვა ცხოვრებიდან. მერე იმდენჯერ უყურებ ამ შენს სიზმრებს, რომ აღარ არის მტკივნეული, მერე უნდა დაგავიწყდეს. მე მარტო სახლს ვხედავ და ადამიანებს, მეტი არაფერი. ამბობენ, რომ სხვები უფრო იტანჯებიან.

იოკო მე-3

იოკო ძალიან პატარაა და წვრილთვალება, კამერიდან ვაკვირდები ხოლმე სულ ფანჯარასთან დგას. ეგეც მწერდა თავიდან სულელურ წერილებს, მზის ამოსვლა თუ გინახავსო, მზის ამოსვლაზე მომიყევიო. დოსიეებს რომ ვკითხულობდი მაშინ გავიგე, თურმე რაღაც ვარდისფერ ყვავილებიან ხესთან იდგა და ცრემლები ჩამოსდიოდა. ამდგარან და

წამოუყვანიათ აქ. აბა წარმოიდგინეთ, ყველა ხესთან რომ ასე ჩამოდგეს ვინმე და ტირილი დაიწყოს, რას დაემსგავსება ქალაქები. ახლა სხვანაირ დროში ვცხოვრობთ.

ისე, როცა იოკოს განწმენდის რიტუალს უტარებენ და მე მოსაცდელში დიდ ეკრანზე მის სიზმრებს ვუყურებ, უცნაური შეგრძნება მიჩნდება, თითქოს მინდა ის სადენები მოვხსნა და თმაზე მოვეფერო. იმედია, ეს მალე გამივლის, ტყუილად ხო არ ვმკურნალობ. იოკოს სიზმრები შავ-თეთრია. რაღაც მაღალი შენობები ჩანს, მერე უცებ ყველაფერი ნგრევას იწყებს და ყველა მხრიდან წყალი მოდის. მეტს არ ვუყურებ. ვეღარ ვუძლებ ჰაერში გამოკიდებული ადამიანების ყურებას, ვერც წყალზე მოტივტივე მანქანების. იოკოსაც უნდა უშველონ, მინდა რომ უშველონ.

ლინდა მე-9

ჩვეულებრივი გოგოა ლინდა, სულ ჯინსები აცვია და მოკლედ შეჭრილი თმა აქვს. მუსიკის მოსმენა უყვარს ხმამაღლა და ხანდახან მაწუხებს. მაინც კარგი გოგოა. ყოველ შემთხვევაში სულელური წერილები მაინც არ მოუწერია, როცა მოვედი. ლინდა რამდენიმე წლის წინ მოუყვანიათ. მუხლებში თავჩარგული უნახავთ რომელიღაც მნიშვნელოვანი დაწესებულების წინ და ყვიროდა თურმე, ოღონდ ბავშვებს არ ესროლოთ, პატარები არიან, ეგენი მაინც შეიცოდეთო.

ლინდას სიზმრებს რომ ვუყურებ ისევ ეგ კადრებია, საკლასო ოთახის კუთხეში ზის ლინდა მოკუნტული და ყვირის, ოთახში კიდევ ვიღაც იარაღიანი კაცი დარბის. ამის მერე თვითმფრინავები ჩნდებიან ლინდას სიზმრებში, ოკეანის თავზე მოფრინავენ და ნაპირზე გამოსულები, რომელიღაც მაღალ შენობას ეჯახებიან.

ასე არის ლინდას სიზმრების ამბავი. ეტყობა კიდევ დიდხანს მოუწევს მკურნალობა.

მაჰსა მე-11

სულ ჩაფხუტი ახურავს მაჰსას და ისე დადის. შემოწმებაზე რომ ხსნიან სახეზე ხელებს იფარებს და იკუნტება სკამზე საცოდავად, პატარავდება, თითქოს შიშველი იყოს. მასაც არ უნდა აქ ყოფნა, სულ გაქცევას ცდილობს. უცნაური ვინმეა, ჩაიმუხლება ხოლმე კედელთან და ბუტბუტებს გაურკვევლად, ხან იატაკს ახლის თავს, ხან ცრემლები ჩამოსდის. არ მშველისო, უფრო მტკინვეულიაო - ყვირის, მაგრამ აქ უკეთ იციან. ყველგან ფეხშიშველა დადის მაჰსა და მხრები აქვს ჩამოყრილი გამუდმებით.

მაჰსას სიზმარში მომწვანო კვამლში დგანან სახედაბურული ქალები, ვერ გარბიან და დგანან და დგანან, სანამ გონებადაკარგულები დაეცემიან. ჯარისკაცები აქეთ-იქიდან ისევ ისვრიან პატარა ბურთულებს და მწვანე კვამლი იმატებს და იმატებს. ვეღარ ვუყურებ მაჰსას სიზმრებს.

მეშინია.

ანა. მე-19

ანა სულ რამდენიმე დღის წინ დავინახე პირველად. ისეთი პატარაა, არ ჩანდა. თეთრი, თეთრი წვრილყვავილებიანი კაბა აცვია გამუდმებით. ხან რომელს შემოგვყურებს სახეში, ხან რომელს. ჩამოგვიჯდება გვერდით და ყვება რაღაც ჯადოსნურ ჯოხებზე, ბუებზე, სათვალიან ბიჭებზე და ათას რაღაცას კიდევ. მიკვირს რატომაა აქ. ისე ცოტა უცნაური კი არის, როცა რამის თქმა უნდა კომპიუტერით ან მობილურით კი არ გვიკავშირდება, პირდაპირ ოთახში შემოდის, მერე სახელოზე გქაჩავს და გაიძულებს მოუსმინო.

ასეთი გოგოა.

მის დოსიეში ვერაფერი ვიპოვე ისეთი. მარტო ის ეწერა, რომ როდესაც ყველა ბავშვი თავის აიპადში ერთობოდა, ანა რომელიღაც პარკში იყო და ფრანს უშვებდა, თანაც ხმამაღლა იცინოდა თურმე. განა რა, მაგრამ აფეთქების მერე სხვანაირი ცხოვრებაა, ჰო ყველამ ვიცით.

ერთი კი ვთქვი მაგას ბევრი არაფერი მკურნალობა დასჭირდება – მეთქი. ვთქვი და თუ პრეტენზია გაქვთ მისტერ ატომთან შებრძანდითო. ამ კლინიკის ხელმძღვანელია მისტერ ატომი, სხვა უამრავი სამსახური აქვს კიდევ. ამბობენ იმ დიდ აფეთქებაში მაგის ხელი ერიაო, მაგის კისერზეა იმდენი ადამიანის სიცოცხლეო, მერე რომ ყველაფერს ბატონ-პატრონი გამხდარიყო იმიტომ მოაწყო ეგ აფეთქებაო, მერე რომ ახალი სამყარო შეექმნაო. რას არ ამბობენ კიდევ. ზოგი - ეგ რომ არა, რა გვეშველებოდაო, თვალებში როგორღა გამოვიხედავდითო, წმინდანიაო ნამდვილი, წმინდანი. რას გაიგებ ხალხისას. მე მაინც უსიამოვნო შეგრძნება მიჩნდება, როცა მასზე ლაპარაკობენ. ტელევიზორშიც არ აჩვენებენ, არც ხმა გამიგონია მაგისი არასდროს. ალბათ, მაგის ბრალია მისი სახელის ხსენებაზე უცნაური ჟრუანტელი რომ მივლის.

მე ვერაფერს ვეტყვი წმინდა ატომს.

ანაც რჩება.

მე. 28-ე

არ მახსოვს როდის გადავწყვიტე, რომ ძილი აღარ მჭირდებოდა. ვიდექი მთელი ღამეები ფანჯარასთან და ვიხედებოდი მაღლა - უნდა გაწვიმდეს, უნდა გაწვიმდეს-მეთქი. დავწვებოდი მერე ძირს და ვიხსენებდი, ან რა მქონდა გასახსენებელი. ავდექი და გამოვძვერი ჩემი სახლიდან, იქ მიშველიან-მეთქი და მოვედი. ვუყურე, ვუყურე ამ ჩემს სიზმრებს და დავიწყების ნაცვლად, რაც არ მახსოვდა ისიც გამახსენდა.

მერე ისიც მოიყვანეს და ყველაფერი აირია. ვუყურე იმის სიზმარს და აი შიში. სანამ ომი იყო, სანამ სხვადასხვა მხარეს იდგნენ, მოვიდა დიდი, დიდი ტალღა, ცეცხლის და კვამლის, და აღარ დარჩა არაფერი რომ გეთქვა - უნდა გადავრჩე, უნდა გადავარჩინო. და სანამ ომი იყო, თურმე ის ცხრა და კიდევ ცხრა მთას იქით ცხოვრობდა და ხეებს რგავდა.

მოიხსნა ის სადენები და მოვიდა ჩემთან. მომეჩვენა, რომ ყველა ჩემი სიზმარი იცოდა,

იცოდა, როგორ ვცხოვრობდით მე და მამაჩემი ომისგან შორს, როგორ ვმღეროდით ცეცხლთან მიყუჟულები ზამთრის ცივ ღამეებში, როგორ მბანდა მიწიან ფეხებს და ძილის წინ შუბლზე მკოცნიდა, იცოდა როგორ მოგვაგნო ომმა, როგორ წაიყვანა ომმა მამაჩემი, როცა ბალახზე გულაღმა ვიწექით და წვიმას ველოდებოდით. ძარღვიანი ხელები ჰქონდა ომს, იარაღის ჭერისგან ადგილ-ადგილ დაბებრებული.

მართალა იცოდა ჩემი ამბები, შენც რანაირი სიზმრები გქონიაო და გადმისვა თმაზე ხელი. ამომიჯდა გული.

ტირილის დრო არ არისო, ისევ ორად იყოფიანო, ან შეიძლება მეტადაც დაიყონო. როგორ გადავრჩით, ან ახლა როგორ გადავრჩეთ-მეთქი. ამოაბრუნა ხელის გულები, დავხედე, მერე ჩემს ხელებსაც დავხედე და მივხვდი. მე პირველი წავალ.

შენ ვინც ამას კითხულობ, მე შენ გეტყვი: გადარჩეს ქალი, რომელსაც რომელიღაცა ლუწ ცხოვრებაში ყველაფერი გაახსენდება და მაინც პირველი წამოდგება მიწიდან, რომ გადარჩეს და გადაარჩინოს.